



„მწვანე ალტერნატივა“: რისთვის სჭირდება სახელმწიფოს დიდი ჰესები, როცა ელექტროენერჯის იმპორტი უფრო იაფია

access_time 2018-09-21 15:00:31

„საქართველოს მთავრობა და ენერჯეტიკის მინისტრის რანგში კახი კალაძე, გვეუბნებოდა, რომ თუ დიდ ჰესებს არ ავაშენებთ გამოქვაბულში მოგვინვეს ცხოვრება და და ელექტროენერჯის დეფიციტი გარდაუვალია. მსოფლიო ბანკის მიერ 2018 წლის თებერვალში მომზადებულ დასკვნაში წერია, რომ მსხვილი ჰესების პროექტების განხორციელების შემთხვევაში ელექტროენერჯია იქნება ჭარბი და ამ ჭარბ დენს ჩვენ ვერ გავიტანთ ექსპორტზე. უფრო მეტიცა ამ ჭარბი დენის ანაზღაურება მოგვინვეს ჩვენ“ — ასეთ შეფასებას აკეთებს „მწვანე ალტერნატივას“ წარმომადგენელი დავით ჭიპაშვილი.

მისი თქმით მსოფლიო ბანკის დასკვნის შემდეგ თუ ვინმე იტყვის, რომ საქართველოს სჭირდება დიდი ჰესები და ამ პროექტებისთვის მოზიდული ინვესტიცია ყოფილა ქვეყნის ეკონომიკის გამაძლიერებელი ან განმავითარებელი იქნება ტყუილი:

„მსოფლიო ბანკის მიერ მომზადებულ დოკუმენტში საპირისპირო წერია. ჩვენ რეალურად ამ ინვესტიციებით, ჩვენივე ხელით ვლუპავთ ჩვენივე ეკონომიკას. ახლა მთავრობაზეა დამოკიდებული გაითვალისწინებს თუ არა ფინანსური ინსტიტუტის

დასკვნას და გააგრძელებს თუ არა ამ პროექტებს .“

მსოფლიო ბანკის კვლევაში, რომელიც „კომერსანტმა“ მოპოვა სამ მსხვილ პროექტზე „ნენსკრა ჰესზე“, „ნამახვანი ჰესზე“ და „კორომ ჰესზე“ კეთდება აქცენტი:

Table 2: PPA Terms for Namakhvani Cascade and Koromkheti

PPA terms	Nenskra	Namakhvani Cascade	Koromkheti
PPA duration	34 years	15 years	15 years
Off-take guarantee	Entire annual generation	For energy generated in September-April of each year	For energy generated in September-April of each year
PPA tariff	USc 7.55/kWh	USc 6.2/kWh	USc 6.4/kWh
Escalation	3% per year	2.5% per year	No escalation

Source: Ministry of Energy.

კერძოდ, გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, სახელმწიფომ „ნენსკრა ჰესისგან“ 34 წლის განმავლობაში უნდა იყიდოს გამომუშავებული ელექტროენერგია 1 კილოვატ/საათი 7,55 ცენტად, ფასნამატი ყოველწლიურად იქნება 3%, „ნამახვანი“ ჰესისგან კი ელექტროენერგია უნდა იყიდოს 15 წლის განმავლობაში 6,2 ცენტად, ფასნამატი იქნება ყოველწლიურად 2,5 %, კორომჰესისგანაც 15 წლის განმავლობაში 6,4 ცენტად.

„საქართველოს აქვს სერიოზული პრობლემები ელექტროენერჯის ექსპორტთან დაკავშირებით. იმიტომ რომ ჩვენს მეზობელ რუსეთში ელექტროენერჯის ფასი 1 კილოვატ /საათზე 3,5 ცენტიდან შემცირდა 2 ცენტამდე, ხოლო თურქეთში 8,5 ცენტიდან 4,5 ცენტამდე. ასევე უფრო იაფია იმპორტი აზერბაიჯანიდან. ეს მსოფლიო ბანკის დოკუმენტშიც დევს“ — აცხადებს „კომერსანტთან“ საუბარში დავით ჭიპაშვილი.

Table 1: Import Prices

Source	Tariff (USc/kWh)
Peak imports from Russia	5.3
Off-peak imports from Russia	6.3
Imports from Azerbaijan	3.8

მისი თქმით რეალურად ელექტროენერჯის ექსპორტი ამ პროექტებში განხორციელებული ინვესტიციების ამოღების საშუალებას შეუძლებელს ხდის:

„აქედან გამომდინარე, ინვესტორისაგან აღებული ვალდებულებების გასტუმრების ორი გზა არსებობს: პირველი — ეს უნდა აისახოს ტარიფში. შემდგომ მსოფლიო ბანკის დოკუმენტში გაანალიზებულია სხვადასხვა სცენარი. ამ სცენარის მიხედვით ტარიფის შესაძლო ზრდამ 22,7 — 27 თეთრი შეადგინა. თუ ტარიფს ჩვენი ჯიბიდან არ გადავიხდით, მაშინ ბაზრის კომერციულ ოპერატორს მოუწევს ფულის გადახდა. ეს კი წარმოშობს „კვაზი“ ფისკალურ დანახარჯებს. ორივე შემთხვევაში ეს აისახება ჩვენს ჯიბეზე და ეკონომიკაზე.“

- The fiscal cost from Nenskra HPP is the largest followed by Namakhvani HPP (part of the Namakhvani cascade) and Koromkheti HPPs. Nenskra HPP has the largest impact because it has the highest indicative PPA tariff starting at 7.55 US\$/kWh with 3% annual escalation, off-take liability of 34 years, and estimated annual generation of 1.2 billion kWh per year, which is 9 percent of projected total domestic demand in 2023.⁵

Table 1: Estimated Annual Fiscal Cost under PPAs (million GEL).

	2022	2023	2024	2025	2026	2027	2028	2030	2032	2034	2036	2041	Total for 2022-2041
Nenskra	-	225	231	238	250	252	260	276	293	310	329	382	5632
Namakhvani	39	36	37	38	38	39	41	43	47	44	48	0	631
Koromkheti	18	18	18	18	18	18	18	18	18	18	18	0	268
Total	57	280	286	294	306	309	319	337	358	372	395	382	6531

Source: World Bank team estimate.

- The fiscal cost may be reduced to GEL611 million (US\$247 million) in present value terms, through exports of electricity (assuming that the surplus energy is exported at 85 percent of the prevailing market price in Turkey). However, the fiscal cost cannot be eliminated entirely because the average wholesale electricity market price in Turkey is about 4.5 US\$/kWh whereas the PPA tariffs for these projects are higher (starting from 6.2 US\$/kWh).

საქართველოს ეკონომიკის სამინისტრო მსოფლიო ბანკის შეფასებას სამუშაო დასკვნის სახით განიხილავს და აცხადებს, რომ ეს რეკომენდაციები სიდა მოხმარებისთვის იყო განკუთვნილი:

„რეალურად, დაახლოებით ერთი წლის წინ, მსოფლიო ბანკის ექსპერტებმა მოამზადეს სამუშაო ხასიათის რეკომენდაციები, რომელიც შიდა მოხმარებისთვის იყო განკუთვნილი და არ იყო საბოლოო დასკვნა. რეკომენდაციები გულისხმობდა მხოლოდ ერთ ასპექტს - ფისკალურ ანალიზს. ჩვენი ხელისუფლების პირობებში ენერგეტიკის სექტორი ერთ-ერთი ყველაზე მიმზიდველი დამასშტაბურია უცხოელი ინვესტორებისთვის. რა თქმა უნდა, ჩვენ ძალიან დიდი სერიოზულობითა და სიფრთხილით ვეკიდებით მოსახლეობისთვის ელექტროენერჯის ფასის საკითხებს. შესაბამისად, საერთაშორისო პარტნიორებთან ერთად ვმუშაობთ ენერგეტიკის სექტორის განვითარების ოპტიმალურ სტრატეგიაზე, რათა, ერთი მხრივ, მოსახლეობის ინტერესები იყოს დაცული, მეორე მხრივ კი კიდევ უფრო განმტკიცდეს საქართველოს ენერგოდამოუკიდებლობა“, - ნათქვამია სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

„მწვანე ალტერნატივას“ წარმომადგენელი დავით ჭიპაშვილი „კომერსანტთან“ საუბარში განმარტავს, რომ ეს არის მსოფლიო ბანკის ოფიციალური დასკვნა და არსად არ არის საუბარი იმაზე, რომ ეს არის სამუშაო დოკუმენტი:

„ის რომ დასკვნა შეიცავს არასწორ ინფორმაციას შეიცავს არ არის მართალი. მსოფლიო ბანკის ექსპერტებმა ერთი წლის წინ კი არ შეიმუშავეს, არამედ 2018 წლის 22 თებერვალს. დასკვნაში მხოლოდ ფისკალურ დანახარჯებზე კი არა არის საუბარი, არამედ ტარიფზე გავლენაზეც. ეს არ არის სამუშაო დოკუმენტი, ეს არის საბოლოო დოკუმენტი. რომელიც მსოფლიო ბანკმა ეკონომიკის სამინისტროს მიანოდა არ არის კონფიდენციალური. არ წერია რომ ეს არის შიდა მოხმარების დოკუმენტი.“

დავით ჭიპაშვილმა ასევე „კომერსანტს“ განუცხადა, რომ მსოფლიო ბანკს აქვს კიდევ მომზადებული აქვს საქართველოს მთავრობისთვის დაბალ დანახარჯიანი ჰიდროელექტროსადგურების განვითარების გეგმა:

„რაც მოიაზრებდა მცირე და საშუალო ჰესების განვითარებას. პირდაპირ საუბრობს მსოფლიო ბანკი, რომ ამ სიაში ეს აღნიშნული სამი პროექტი არ შედის. შესაბამისად ის დამატებით რისკებს ქმნის ქვეყნის ენერგოსისტემისთვის. ასევე დამატებით, 350 მლნ 500 მილიონამდე აშშ დოლარის ხარჯები წარმოშობს“

ნინო ნატროშვილი